საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს
2016 წლის 27 ივლისის
დადგენილება №2095

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
განვითარების ერთწლიანი სამოქმედო გეგმის
დამტკიცების შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის განვითარების ერთწლიანი (2016-2017 წწ.) სამოქმედო გეგმა (თან ერთვის).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე	ა. ფრანგიშვილი
აკადემიური საბჭოს მდივანი	გ. სალუქვაძე

სტუ-ს აკადემიური საბჭოს

2016 წლის 27 ივლისის
№2095 დადგენილების
დანართი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის განვითარების ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2016-2017 წ.წ.)

სტუ-ს განვითარების ერთწლიანი სამოქმედო გეგმა ეყრდნობა ევროპული საგანმანათლებლო გარემოს ძირითად პარადიგმებს, შესაბამისი პროფილის ევროპული ასოციაციებისა და დაწესებულებების, აგრეთვე, ცალკეული ექსპერტების მიერ შემუშავებულ დოკუმენტებს, უნივერსიტეტის გრძელვადიან სამოქმედო გეგმას. მას საფუძვლად უდევს შემდეგი ძირითადი პრიორიტეტები:

- საგანმანათლებლო საქმიანობის შემდგომი სრულყოფა;
- ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის განვითარება;
- სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების გააქტიურება და კომერციალიზაცია;
- საერთაშორისო ურთიერთობების განვითარება და საგანმანათლებლო პროგრამების ინტერნაციონალიზაციის უზრუნველყოფა;
- ინოვაციური საქმიანობა;
- სტრუქტურების მოდერნიზაცია და მენეჯერულ-მმართველობითი ღონისძიებების სრულყოფა.

სტუ-ს განვითარების ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2016-2017 წ.წ.) ითვალისწინებს შემდეგ ძირითად ღონისძიებებს:

- ახალი 2016-2017 სასწავლო წლისათვის სტუდენტთა კონტიგენტის ფორმირება სწავლების ყველა საფეხურზე;
- აკადემიური დატვირთვების განაწილება და სასწავლო პროცესის მიმდინარეობის განრიგის შედგენა სტუ-ში დამუშავებული უახლესი მეთოდოლოგიით;
- უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოდერნიზება, არსებული სასწავლო ლაბორატორიების განახლება ახალი ვირტუალური მოდელებით, სააუდიტორიო ფონდისა და კომპიუტერული კლასების შევსება და გაფართოება; ერთიანი სასწავლო-საკვლევი ლაბორატორიული კომპლექსების (ცენტრების) შექმნა და შესაბამისი სტრუქტურების ჩამოყალიბება, სწავლების უახლესი ტექნოლოგიების, მათ შორის, უწყვეტი განათლების ტექნოლოგიების დანერგვისათვის საჭირო ღონისძიებების გატარება;
- ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის დაყოფის გზით სამი ახალი ფაკულტეტის - სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების, საინჟინრო ეკონომიკის,

მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტების ჩამოყალიბებისა და უნივერსიტეტის სასწავლო პროცესში მათი ინტეგრაციის განხორციელებისათვის ღონისძიებების გატარება;

- აკადემიური საბჭოს სამუშაო გეგმის შესაბამისად სასწავლო-საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი და სხვა სამსახურების საქმიანობის შედეგების მოსმენა საბჭოს სხდომებზე და სათანადო ღონისძიებების დასახვა;
- სასწავლო პროცესის ელექტრონული მონიტორინგისა და მართვის სისტემის სრული განხორციელება, სტუდენტთა აქტიური ჩართვით პროფესორ-მასწავლებელთა რეგისტრაციისა და სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შემოწმების ელექტრონული სისტემების შედეგების ანალიზი;
- სწავლების ხარისხის შეფასებისა და მონიტორინგის მიზნით ლექცია-სემინარების აუდიო-ვიზუალური სისტემის შემუშავება და მისი ამოქმედების უზრუნველყოფა;
- სასწავლო მასალის ათვისების ხარისხის ამაღლების მიზნით საბიბლიოთეკო ფონდის სისტემატური განახლება, დარგობრივი სამეცნიერო ჟურნალების, უახლესი სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურისა და სახელმძღვანელოების შესაძენად დაფინანსების უზრუნველყოფა, სასწავლო კურსების უზრუნველყოფა ლიტერატურის ელექტრონული ვერსიებით;
- საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო ბიბლიოთეკების ინფრასტრუქტურის განახლება, საერთაშორისო საბიბლიოთეკო ცენტრებთან დაკავშირება და ელექტრონული საძიებო და სააბონენტო სისტემების დანერგვა;
- სტუდენტთა შეფასების ერთიანი, ცენტრალიზებული სისტემის სრულად დანერგვა;
- უმაღლესი განათლების სფეროსთან დაკავშირებული საკანონმდებლო და სხვა სამართლებრივ აქტებში განხორციელებული ცვლილებების ასახვა შესაბამის საუნივერსიტეტო სამართლებრივ აქტებში და სასწავლო პროცესში მათი გათვალისწინება;
- ღია კონკურსების მოწყობა აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად;
- პროფესორებისა და სამეცნიერო პერსონალის ატესტაციის პროცესების ორგანიზება;
- საზღვარგარეთ სწავლისადმი ინტერესის გაზრდასთან დაკავშირებით სტუ-ს სტუდენტების მობილობის ხელშეწყობა, მათ შორის, გაცვლითი პროგრამების ფარგლებში;
- როგორც სტუ-ს, ასევე, საზღვარგარეთის ქვეყნების უნივერსიტეტების პროფესორ-მასწავლებელთა მობილობის ხელშეწყობა, მობილობის პროცესის დაბალანსების მიღწევა;
- სტუდენტებისათვის სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის გავლის ორგანიზების მიზნით კომპანიებთან, ფირმებსა და სხვა ორგანიზაციებთან თანამშრომლობის შესახებ ორმხრივი ხელშეკრულებების გაფორმება, პრაქტიკების ჩასატარებლად საჭირო ფინანსური რესურსების მოძიება ფაკულტეტების მიხედვით;
- სპეციალურ პროგრამებზე მუშაობის გაფართოება (დარგების მიხედვით შეხვედრები, კლიპებისა და ბეჭდვური რეკლამის გამოყენება და სხვ.) მოსწავლე-ახალგაზრდობის პროფესიული ორიენტაციის ხელმისაწვდომობის ამაღლების მიზნით;

- საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების მიზნით საავტორიზაციო განაცხადის მომზადება და დადგენილ ვადაში ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარდგენა;
- ახალი უცხოურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების (კურიკულუმების), სასწავლო კურსების პროგრამების (სილაბუსების) და თანდართული დოკუმენტაციის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა და ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში ავტორიზაციაზე წარდგენა;
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების მიხედვით ფაკულტეტების მიერ მომზადებული მოდიფიცირებული პროგრამების გადამოწმება;
- აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამების გადამოწმება მატერიალურ-ტექნიკური და ადამიანური რესურსის ცვლილებებთან დაკავშირებით;
- უნივერსიტეტში მოქმედი ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამების წლიური ანგარიშების შედგენა, გადამოწმება და ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარდგენა;
- აკრედიტებული და ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა და პროგრამების შესაბამისი თანდართული დოკუმენტაციის გადამოწმება, კერძოდ, სასწავლო კურსების პროგრამების (სილაბუსების) მოდიფიცირების გადამოწმება. ასევე, პროგრამებში არსებული საწარმოო პრაქტიკის განხორციელებისათვის აუცილებელი ხელშეკრულებების ვადების გადამოწმება;
- მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და დანერგვის ხელშეწყობა;
- უნივერსიტეტში მოქმედი პროფესიული აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამების წლიური ანგარიშების შედგენა, გადამოწმება და ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარდგენა;
- საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების ცვლილებების ან/და სხვა სიახლეების შესახებ ტრენინგებისა და კონსულტაციების მოწყობა ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების სპეციალისტებთან;
- მონიტორინგი საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგის მოწესრიგებაზე ახალი პროგრამების შედგენის ან არსებულის მოდიფიცირების შემთხვევაში;
- საგანმანათლებლო პროგრამების მონაცემთა ბაზების შევსება;
- სტუდენტების და აკადემიური პერსონალის სისტემატური გამოკითხვის ორგანიზება, შესაბამისი კითხვარებისა და აუცილებელი დოკუმენტების დახვეწა გამოკითხვის შედეგების ანალიზი და შესაბამისი წინადადებების შემუშავება;
- სწავლების ხარისხის შემდგომი ამაღლების მიზნით „დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე“ ციკლის მუდმივი განახლება, აქტიური ამოქმედება და საჯარო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- საქართველოს მეწარმეთა და კურსდამთავრებულთა ასოციაციის გააქტიურება, რაც ხელს შეუწყობს პოტენციურ დამსაქმებელთან პარტნიორობის გაღრმავებას შემდეგი საქმიანობის განხორციელების გზით:
  - შრომის ბაზრის მოთხოვნების შესწავლა;

- განსაკუთრებით მოთხოვნადი პროფესიებისა და სპეციალობების განსაზღვრა და შესაბამისი ზოგადი კომპეტენტურობების დადგენა;
- პოტენციურ დამსაქმებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით განსაზღვრული კომპეტენტურობების განვითარებაზე ორიენტირებული ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შედგენა ან/და არსებული პროგრამების მოდიფიცირება;
- აბიტურიენტთა და სტუდენტთა შერჩევა მოთხოვნადი პროფესიებისთვის მათი ინტელექტუალური და პიროვნული მახასიათებლების მიხედვით, შერჩეული კონტიგენტის პროფესიული ორიენტაცია და ორიენტირებული სწავლება;
- „HR ინკუბატორისა“ და შესაბამისი მონაცემთა ბაზის შექმნა;

- ფუნდამენტური და გამოყენებითი მეცნიერების განვითარების სტიმულირებისათვის შიგასაუნივერსიტეტო საგრანტო პოლიტიკის ხელშეწყობა;
- შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდისა და სხვა ფონდების მიერ გამოცხადებული იმ გრანტების მხარდაჭერა, სადაც მიზანშეწონილია სტუ-ს მონაწილეობით თანადაფინანსების პოლიტიკის გატარება;
- საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით ინოვაციური პროდუქტის შეფასების სამეცნიერო მეთოდოლოგიისა და რეალიზაციის მხარდაჭერის კომპიუტერული მოდელის შექმნა;
- სტუ-ს სამეცნიერო დარგის ტექნოლოგიური უზრუნველყოფის ანალიზის გაგრძელება, განსაკუთრებით იმ პრიორიტეტული დარგების (ნანოტექნოლოგიები, მასალათმცოდნეობა, ბიოტექნოლოგიები და საინფორმაციო ტექნოლოგიები), რომლებიც დღეისათვის განსაზღვრავენ და სტიმულს აძლევენ სხვადასხვა დარგის მეცნიერების განვითარებას;
- ადგილობრივი და საერთაშორისო კონფერენციების ჩატარების ხელშეწყობა;
- მზა პროდუქტების რეალიზაციის მიზნით ტექნოპარკებისა და ბიზნეს ინუკუბატორების ჩამოყალიბების პოლიტიკის ხელშეწყობა და ამ მიზნით ფონდებთან და ხელისუფლებასთან მჭიდრო თანამშრომლობა;
- ტექნოლოგიის ტრანსფერის, ლიცენზირებისა და ინტელექტუალური საკუთრების მართვის თანამედროვე პოლიტიკის გათვალისწინებით უნივერსიტეტის ინტელექტუალური პროდუქტის საერთაშორისო სატრანსფერო ქსელში გავრცელების, ლიცენზირებისა და უნივერსიტეტისა და საქართველოს ბიზნეს-ინდუსტრიის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გაწევრიანება ტექნოლოგიური ტრანსფერის საერთაშორისო ასოციაციაში;
- ტექნოლოგიის ტრანსფერისა და ინტელექტუალური საკუთრების მართვის მიმართულებით ფაკულტეტების პროფესორ-მასწავლებელთა გადამზადების ხელშეწყობა, შესაბამისი ინტელექტუალურ ტრენერთა ჯგუფის ჩამოყალიბება დარგობრივი მიმართულებების გათვალისწინებით;
- ტექნოლოგიის ტრანსფერის ბიზნეს-ინდუსტრიაში ასახვა, მისი მნიშვნელობის, პოპულარიზაციისა და შესაბამის სპეციალისტთა გადამზადების მიზნით ფირმების წარმომადგენლებისათვის ტრენინგების ჩატარება, სატრანსფერო ოპერაციების განხორციელების ხელშეწყობა

- ტექნოლოგიის ტრანსფერისა და ინტელექტუალური საკუთრების მენეჯმენტის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის „ინოვაციური მენეჯმენტი“ შემუშავება, პროგრამის მომზადება აკრედიტაციისათვის;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო პუბლიკაციების სტანდარტიზაციისა და მეცნიერმზომელობითი რეიტინგის ამაღლების მიზნით:
  - სტუ-ის პერიოდული გამოცემების სტატუსის ამაღლებისა და საერთაშორისო მონაცემთა ბაზაში Ulrich's Periodicals Directory მათი ჩართვის სათანადო რეკომენდაციებისა და სტანდარტების შემუშავება;
  - შემოთავაზებული საერთაშორისო რეკომენდაციებისა და სტანდარტების საფუძველზე პროგრამული პროდუქტის შექმნა, რომლის საშუალებითაც დადგინდება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პერიოდულ გამოცემებში სტანდარტების დაცულობა;
- სტუდენტთა უფლებების განუხრელი დაცვა, საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო მმართველობით და სხვა ღონისძიებებში (სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენციები, სპორტული შეჯიბრებები, მუსიკალური და სხვა სახის შემოქმედებითი საღამოები) მათი აქტიური მონაწილეობის მხარდაჭერა და ხელშეწყობა;
- ფაკულტეტების მიხედვით კურსდამთავრებულებთან კავშირების განმტკიცება და მათი დასაქმების მონიტორინგი, მიღებული ინფორმაციის ანალიზის შედეგების გათვალისწინება ყველა საფეხურზე სწავლების, სწავლისა და შეფასების პროცესში;
- კურსდამთავრებულთა აქტივობის გაზრდა მათ მიერ მიღებული სპეციალობების ფართო პროპაგანდის, დარგობრივ ორგანიზაციებთან საქმიანი ურთიერთობების ჩამოყალიბების, უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებისა და ქველმოქმედების განხორციელების მიზნით;
- მენეჯერულ-მმართველობითი ღონისძიებების სრულყოფა და ავტონომიურობის პრინციპის ფართოდ გამოყენება და განვითარება აკადემიურ, საფინანსო-ეკონომიკურ და ადმინისტრაციულ სფეროში;
- სასწავლო აუდიტორიებისა და სამეცნიერო-კვლევითი ცენტრებისათვის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დამაარსებელთა და სხვა გამოჩენილ მეცნიერთა სახელების მინიჭება, აგრეთვე, მათი ღვაწლის უკვდავსაყოფად არქიტექტურულ-ხუროთმოძღვრული ანსამბლის დადგმა სტუ-ს ადმინისტრაციული კორპუსის წინ მდებარე სკვერში.